მოკლე ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ

2014 წელი

თვითმმართველი ორგანოს - გამგეობის/მერიის სტრუქტურა

- გამგებელი/მერი
- თანამდებობის პირები
- სტრუქტურული ერთეულები
  (მერის/გამგებლის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო)

გამგეობის/მერიის თანამდებობის პირები

- გამგებელი/მერი;
- გამგებლის I მოადგილე/ვიცე მერი;
- გამგებლის მოადგილე / მერის მოადგილე
- გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სტრუქტურული ერთეულები

- ადმინიტრაციული სამსახური (მოქალაქეთა მომსახურება, ადამიანური რესურსები, საზოგადებასთან ურთიერთობა, ტურიზმი და საერთაშორისო ფონდებთან ურთიერთობა);
- ქონების მართვის, ეკონომიკური განვიტარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის და მშენებლობის სამსახური;
- საფინანსო - საბიუჯეტო და სოციალური საკითხთა სამსახური (სამეურნეო, ჯანდაცვა, სოციალური საკითხები და შესყიდვები);
- კულტურის, ძეგლთა დაცვის, განათლების, სპორტის, და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური;
- იურიდიული სამსახური;
- შიდა აუდიტის სამსახური;
- ზედამხედველობის სამსახური;
- სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური;
- სახანძრო-სამაშველო სამსახური.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი/ბიუჯეტის მომზადება და დაგეგმვა

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი არის შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა.
- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამოუკიდებელია როგორც სხვა მუნიციპალიტეტის, ისე ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტებისგან.
- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამოუკიდებლობას განაპირობებს საკუთარი შემოსულობები და საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელებისთვის გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლებამოსილება.
- მუნიციპალიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად არაუგვიანეს 15 ნოემბრისა მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს;
- მუნიციპალიტეტის საკრებულო ბიუჯეტის პროექტს მისი წარდგენიდან 5 დღის ვადაში აქვეყნებს საჯარო განხილვისთვის.
- მუნიციპალიტეტის საკრებულო საჯაროდ განიხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ.
- შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო– საკრებულო არაუგვიანეს 25 ნოემბრისა ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გამგებელს/მერს.
- ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტებს არაუგვიანეს 10 დეკემბრისა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გამგებელი/მერი წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს.
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვისას ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მუნიციპალიტეტის გამგებელთან/მერთან შეთანხმებით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი/ბიუჯეტის მომზადება და დაგეგმვა

- თუ მუნიციპალიტეტის საკრებულომ არ დაამტკიცა მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის შესწორებული ვარიანტი ან გამგებლის/მერის მიერ საკრებულოს შენიშვნების გაუზიარებლობის შემთხვევაში - ბიუჯეტის პროექტის პირვანდელი რედაქცია, მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია სიითი შემადგენლობის სამი მეხუთედით დაამტკიცოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მიერ ინიციირებული ბიუჯეტის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ საკრებულოს მიერ ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გამგებლისთვის/მერისთვის გაგზავნილი შენიშვნები ან მათი ნაწილი.
- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის დასაგეგმი წლის დაწყებამდე დაუმტკიცებლობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი უფლებამოსილია თითოეულ პრიორიტეტზე ყოველთვიურად გასცეს თანხა არაუმეტეს გასული საბიუჯეტო წლის ასიგნებების ერთი მეთორმეტედისა. ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან 3 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში საქართველოს მთავრობა ამ კანონით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგებელს/მერს ვადამდე უწყვეტს უფლებამოსილებას.
- წლიური ბიუჯეტი ქვეყნდება და ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის.

polska pomoc

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის აღრიცხვა და ანგარიშგება

- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ანგარიშის მართვისა და ოპერირების კონტროლის, აგრეთვე ამ ანგარიშიდან თანხის გადარიცხვის შესახებ ნებართვის გაცემის უფლება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, აქვს მხოლოდ საფინანსო ორგანოს;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანოს თანხმობის გარეშე დაუშვებელია შესაბამისი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციის საბანკო ანგარიშის გახსნა;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო ახორციელებს თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ გაწეული გადასახდელების აღრიცხვას , რომელიც მოიცავს ინფორმაციას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით გადახდის განხორციელების ყველა ეტაპის შესახებ , ამასთანავე , სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად აღრიცხავს საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებულ შემოსულობებს;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში ამზადებს ანგარიშს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით.

კონტროლი : გუბერნატორი-ადგილობრივი თვითმმართველობა, საქართველოს მთავრობა-გუბერნატორი

- **საქართველოს მთავრობა - სახელმწიფო რწმუნებული -გუბერნატორი**
- სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობის წინაშე.
- საქართველოს მთავრობის დავალებით, შესაბამისი ტერიტორიული საზღვრების ფარგლებში შეიმუშავებს ან/და ახორციელებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებს და მონაწილეობს რეგიონული განვითარების ღონისძიებებში;
- საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენად ამზადებს რეკომენდაციებსა და წინადადებებს შესაბამისი სამოქმედო ტერიტორიის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ;
- საქართველოს მთავრობის დავალებით ხელს უწყობს სოფლის მეურნეობისა და სპორტის განვითარებას, კულტურისა და ისტორიული ძეგლების დაცვასა და სხვა ღონისძიებების განხორციელებას;
- საქართველოს მთავრობის დავალებით კოორდინაციას უწევს საქართველოს სამინისტროების ტერიტორიული ორგანოების საქმიანობას
- საქართველოს მთავრობის დავალებათა შესასრულებლად, აგრეთვე, სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე წინადადებებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად უფლებამოსილია, შექმნას დროებითი კომისიები, საბჭოები და სამუშაო ჯგუფები;
- ახორციელებს ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს და საქართველოს მთავრობის ცალკეულ დავალებებს.

კონტროლი : გუბერნატორი-ადგილობრივი თვითმმართველობა, საქართველოს მთავრობა-გუბერნატორი

- **სახელმწიფო რწმუნებული -გუბერნატორი -ადგილობრივი თვითმმართველობა**

- საქართველოს მთავრობის დავალებით კოორდინაციას უწევს რეგიონული პოლიტიკის განხორციელებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ცალკეულ ღონისძიებებს;
- კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე და შესაბამის ანგარიშს წარუდგენს საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს;
- მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის და სამხედრო სამსახურში გაწვევის პროცესის სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების მიზნით რეკომენდაციების და წინადადებების მოზადება;
- საქართველოს მთავრობის დავალებით ან შესაბამისი სამინისტროს მიმართვის საფუძველზე ხელს უწყობს სამხედრო-სასწავლო შეკრებებისა და სამხედრო მომზადების ორგანიზების ღონისძიებათა განხორციელებას;
- საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის “კ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენად საკრებულოს საქმიანობის შეჩერების ან დათხოვნის შესახებ წინადადებების მომზადება;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან კოორდინირებით უზრუნველყოფს სტიქიური მოვლენების, კატასტროფებისა და საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათი უარყოფითი შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებათა განხორციელებას;
- სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე აწესებს და ხსნის ვეტერინარულ და მცენარეთა კარანტინს ერთზე მეტი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით“ გათვალისწინებულ შემთხვევაში და წესით;
- კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს საქართველოს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების აღსრულებას;

polska pomoc

შშმ პირთა სოციალური პროგრამები

- გამგეობას/მერიას ცალკე პროგრამა შშმ პირთა მიმართ არ გააჩნია;
- გამგეობა/მერია არის შუამავალი რგოლი არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში, რომლებსაც უშუალოდ გააჩნიათ შშმ პირთათვის სოციალური პროგრამები.

polska pomoc

სოციალური დახმარება

- ახალშობილთა დახმარება I, II შვილი, (მერია);
- ახალშობილთა დახმარება I, II, III და მეტი შვილი (გამგეობა);
- მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (მერია/გამგეობა);
- სამაჩაბლო-აფხაზეთის ომში ბრძოლის დროს მიღებული ტრამვისა და დაღუპულთა ოჯახების დახმარება;
- უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო თანხით დახმარება;
- სადღესასწაულო პროგრამა-დახმარება (უმწეოთა, უპოვართა და ა.შ);
- სამედიცინო დახმარება (მედიკამენტოზური, ოპერაცია);
- ერთჯერადი ფულადი დახმარება (უმწეოთა, უპოვართა და ა.შ);
- სათბობი შეშით დახმარება (უმწეოთა, უპოვართა და ა.შ)

polska pomoc

ადგილობრივი თვითმართველობის ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებები

- თელავის მუნიციპალიტეტი გაიყო ორად და შეიქმნა ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტი;
- გამგებლის/მერის უფლებამოსილება გაიზარდა;
- გამგეობის/მერიის თანამდებობის პირების რაოდენობები კანონით განისაზღვრა;
- საშტატო რაოდენობები კანონის მიხედვით "ფორმულაში" მოექცა;
- სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები გახდნენ თანმადებობის პირები;
- ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულების ინსტიტუტი გაუქმდა და დაფუძნდა გამგებლის/მერის წარმომადგენლის ინსტიტუტი და ა.შ.